სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

52415395729119

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N190571582

რეგისტრაციის თარიღი

22.05.2019 წ

ნოტარიუსი: ნანი სიდამონიძე
მისამართი: ქ. თბილისი, დ.გურამიშვილის გამზ #27
ტელეფონი: 593-32-67-97

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი

საქართველო

ორიათას ცხრამეტი წლის ოცდაორ მაისს , ნოტარიუსს ნანი სიდამონიძეს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, დ. გურამიშვილის გამზ. N 27-ში, მომმართა თამაზი ხუნდაძემ, რომელმაც მოითხოვა მინდობილობის შედგენა და სანოტარო წესით დამოწმება.

მე დავადგინე თამაზი ხუნდაძის პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად თამაზი ხუნდაძემ (დაბ. 13.02.1961წ. პ # 01022000933. მისამართი : თბილისი დ.კლდიაშვილის ქ. N 15 ბ. 69) მომმართა.

მე შევამოწმე ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა და მინდობილობის შინაარსი. შემდეგ შევადგინე მინდობილობა, რომელიც წავუკითხე თამაზი ხუნდაძეს და განვუმარტე მისი შინაარსი, აგრეთვე განვუმარტე:

მარწმუნებელს უფლება აქვს ნებისმიერ დროს გააუქმოს ეს მინდობილობა.

თამაზი ხუნდაძემ წაიკითხა ეს მინდობილობა, განაცხადა, რომ იგი სრულიად შეესაბამება მის ნებას. მან ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი შემდეგ მინდობილობას:

მინდობილობა

ორიათას ცხრამეტი წლის ოცდაორ მაისს ამ მინდობილობით თამაზი ხუნდაძემ (დაბ. 13.02.1961წ. პ # 01022000933. მისამართი : თბილისი დ.კლდიაშვილის ქ. N 15 ბ. 69), რომელიც შემდეგში წოდებულია როგორც ''მარწმუნებელი '' ზურაბ ლოლაშვილს (დაბ.01.10.1961წ. პN 01008008282) რომელიც წოდებულია, როგორც "რწმუნებული" მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილება:

„რწმუნებული“ უფლებამოსილია იყოს მარწმუნებლის, როგორც ამხანაგობა „საირმე პირველის“ თავმჯდომარის წარმომადგენელი წარმომადგენელი ნებისმიერ სახელმწიფო დაწესებულებასა და ორგანიზაციაში, მერიაში, საკრებულოში, გამგეობაში, ეკონომიკის სამინისტროში, არქივში, საპროექტო და არქიტექტურის სამსახურში, მიწის აღიარების კომისიაში, დაიცვას მარწმუნებლის ინტერესები, მიმართოს განცხადებით, წარადგინოს და მიიღოს საჭირო დოკუმენტები, ცნობა/განაცხადი, მიიღოს მშენებლობის ნებართვა და პროექტები და სხვა საჭირო ნებართვები, შეიტანოს ცვლილებები, განახორციელოს პროექტის კორექტირება, აწარმოოს მშენებლობა, დაადგინოს პარამეტრები, მიიღოს სარეკონსტრუქციო, სამშენებლო პროექტი, შეთანხმებული დოკუმენტაცია, ატვირთოს მერიის ელექტრონულ საიტზე არსებული დოკუმენტაცია გადაიხადოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადები, ნებისმიერი მოსაკრებელი, მოიპოვოს ყველა საჭირო დოკუმენტები და შეასრულოს ყველა საჭირო მოქმედება, რაც დაკავშირებული იქნება მშენებლობის/სამშენებლო ნებართვების და პროექტების მიღება/წარდგენასთან.

მინდობილობა ძალაშია 22.05.2021 წლის ჩათვლით.

მინდობილობა გაცემულია სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლიარად, რომელთაგან ერთი ინახება სანოტარო ბიუროს არქივში, ხოლო დანარჩენი გადაეცა მარწმუნებელს.

გადახდილია _ 13.80 ლარი, აქედან: სანოტარო საზღაური : 10 ლარი, თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილების (2011წლის 29 დეკემბერი, N 507) 31-ე მუხლისა, დღგ 1.80 ლარი და რეესტრში რეგისტრაციის საფასური 2 ლარი (დღგ-ს ჩათვლით), თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილების (2011წლის 29 დეკემბერი, N 507) 39-ე მუხლისა.

მარწმუნებელი: _____

ნოტარიუსი: _____ */ნანი სიდამონიძე/*

http://notary.naprvpn/notary/CoverPage.do?variant=2&actId=3601729

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

23090304988311

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობის / სამეწარმეო ამხანაგობის სადამფუძნებლო დოკუმენტაციის დამოწმების ცვლილება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N110490899

რეგისტრაციის თარიღი

17.05.2011 წ

ნოტარიუსი: ნარგიზ მინდიაშვილი
მისამართი: ქ. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 29
ტელეფონი: 95-00-37; 95-78-07

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 66 19 18

სანოტარო აქტი

საქართველო

ორი ათას თერთმეტი წლის ჩვიდმეტ მაისს. მე, საქართველოს ნოტარიუსს ნარგიზ ინდიაშვილს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, მარჯანიშვილის N29, მომმართეს: ი.ბ.ა. „საირმე პირველი"-ს დამფუძნებელმა წევრებმა: თამაზ ხუნდაძემ, გოჩა იმერლიშვილმა, ნონა ალიბეგაშვილმა და გელა ჩხაიძემ, როგორც ანა ჩხაიძის (დაბ. 10.11.1937წ. უკრაინაში, პ. №01024068499) წარმომადგენელმა *(მინდობილობით, დამოწ. 16.05.2011წ. ნოტარიუს ნ. მინდიაშვილის მიერ, №110486968).* მათ განაცხადეს, რომ სურთ ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „საირმე პირველი"-ს *სადამფუძნებლო ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ შეთანხმების შედგენა და მისი სანოტარო წესით დადასტურება.*

მე შევამოწმე მათი პირადობა, მათ მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი რომ მე ნამდვილად: თამაზ ხუნდაძემ (დაბ. 14.02.1961წ. პ/მ №დ 1242337, პ. №01022000933, გაც. 17.12.2008წ. სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ნაძალადევის სამმ მიერ მცხ. ქ. თბილისი, მუხიანის კორპ. 5, ბინა 12), გოჩა იმერლიშვილმა (დაბ. 28.09.1973წ. პ/მ №გ 0561564, პ. №13001018515, გაც. 10.09.2004წ. გურჯაანის შსს მიერ, მცხ. გურჯაანის რ-ნი, სოფ. მელაანი), ნონა ალიბეგაშვილმა (დაბ. 03.08.1970წ. რუსეთში, მცხ. ქ. თბილისი, გულრიფშის ქ. 20, პ/მ №გ 1386087. პ. №01003006913, გაც. 19.08.2010წ. სამოქალქო რეესტრის სააგენტოს ნაძალადევის სამმ მიერ) და გელა ჩხაიძემ (დაბ. 05.10.1961წ. პ/მ №ბ 0140603. პ. №01024015923, გაც. 11.07.1996წ. ქ. თბილისის. საბურთალოს რ-ნის შს გან მიერ მცხ. ქ. თბილისი, საირმის 40) მომმართეს. მე დავადგინე მათი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მათ ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. რის შემდეგაც შევადგინე წინამდებარე შეთანხმება, რომელიც მოიწონეს მხარეებმა და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერეს ხელი მას.

შეთანხმება
ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „საირმე პირველი"-ს *სადამფუძნებლო ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ*

ჩვენ, ი.ბ.ა. „საირმე პირველი"-ს დამფუძნებელი წევრები: თამაზ ხუნდაძე (დაბ. 14.02.1961წ. პ/მ №დ 1242337. პ. №01022000933. გაც. 17.12.2008წ. სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ნაძალადევის სამმ მიერ მცხ. ქ. თბილისი. მუხიანის კორპ. 5, ბინა 12), გოჩა იმერლიშვილი (დაბ. 28.09.1973წ. პ/მ №გ 0561564, პ. №13001018515, გაც. 10.09.2004წ. გურჯაანის შსს მიერ, მცხ. გურჯაანის რ-ნი. სოფ. მელაანი), ნონა ალიბეგაშვილი(დაბ. 03.08.1970წ. რუსეთში, მცხ. ქ. თბილისი, გულრიფშის ქ. №20. პ/მ №გ 1386087. პ. №01003006913. გაც. 19.08.2010წ. სა მოქალქო რეესტრის სააგენტოს ნაძალადევის სამმ მიერ) და გელა ჩხაიძე (დაბ. 05.10.1961წ. პ/მ №ბ 0140603. პ. №01024015923, გაც. 11.07.1996წ. ქ. თბილისის, საბურთალოს რ-ნის შს გან მიერ მცხ. ქ. თბილისი, საირმის 40). როგორც ანა *ჩხაიძის* (დაბ. 10.11.1937წ. უკრაინაში, პ. №01024068499) წარმომადგენელი *(მინდობილობით, დამოწ. 16.05.2011წ. ნოტარიუს ნ. მინდიაშვილის მიერ, №110486968)*, შევთანხმდით შემდეგზე: შეტანილ იქნას ცვლილება ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „საირმე პირველი"-ს *სადამფუძნებლო ხელშეკრულებაში, დამოწ. 12.06.2007წ. ნოტარიუს ნ. მინდიაშვილის მიერ, რ/რ №1-7340 და ხელშეკრულების პუნქტს „4. „დამფუძნებელ წევრთა* [illegible]

4. "დამფუძნებელ წევრთა" კრება.

4.1. "დამფუძნებელ წევრთა" კრება არის "ამხანაგობის" მმართველობის უმაღლესი ორგანო;

4.2. "დამფუძნებელ წევრთა" საერთო კრება მოიწვევა საჭიროებისამებრ. "ამხანაგობის" თავმჯდომარის, ან რომელიმე "დამფუძნებელი წევრის" მოთხოვნით.

4.3. "დამფუძნებელ წევრთა" საერთო კრებაზე ნებისმიერი გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა "დამფუძნებელ წევრთა" ყველა ან ერთით ნაკლებ წევრთა თანხმობა.

4.4. "დამფუძნებელ წევრთა" კრების კომპეტენციას განეკუთვნება:

4.4.1. "ამხანაგობის" ძირითადი ორგანიზაციულ-ფინანსური საკითხების გადაწყვეტა;

4.4.2. განუთავსებელი ფართების განაწილება;

4.4.3. "ამხანაგობის" წევრისა "ამხანაგობიდან" გარიცხვის შესახებ გადაწყვეტილების მიღება;

4.4.4. "ამხანაგობის" წევრთა შორის წილობრივი საკუთრების იდენტიფიკაცია და განსაზღვრა;

4.4.5. <u>სამშენებლო პროექტში კორექტირების შეტანასთან დაკავშირებული საკითხები და ესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება.</u>

4.4.6. "ამხანაგობის" ყველა დამფუძნებელ წევრს გააჩნია ერთი ხმა მიუხედავად "ამხანაგობაში" მათი წილობრივი შენატანებისა."

წინამდებარე შეთანხმება წარმოადგენს ზ/აღნიშნული სადამფუძნებლო ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილს (*სადამფუძნებლო ხელშეკრულება, დამოწ. 12.06.2007წ. ნოტარიუს ნ. მინდიაშვილის მიერ, რ/რ №1-7340*).

შეთანხმება ძალაში შედის მხარეების მიერ ხელმოწერისა და სახელმწიფო წესით დამოწმებისთანავე.

შეთანხმება შედგენილია ქართულ ენაზე ოთხ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი რჩება ნოტარიუს ნ. მინდიაშვილის სანოტარო ბიუროს არქივში. ხოლო დანარჩენი გადაეცათ მხარეებს.

გადახდილია სანოტარო მომსახურეობის საზღაური: 25,00 ლარი, თანახმად სანოტარო ქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის შესახებ საქართველოს კანონის 7-ე მუხლისა აგრეთვე დღგ. 4,50. თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 245 მუხლისა. სულ 29,50 ლარი. პლიუს : 2.00 (ორი) ლარი (დღგ-ს ჩათვლით) სანოტარო მოქმედების ელექტრონულ ნოტარო რეესტრში რეგისტრაციის საფასური, თანახმად 31[1] მუხლისა

ხელმოწერები:

ნ. მინდიაშვილი